

გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები:

1. Tamar Abuladze, Darejan Kldiashvili, Irina koshoridze. Islamic World and its Christian Neighbours: Georgian-Persian, Persian and Ottoman Illuminated Historical Documents in Georgian Archives and Museums (paper) [ისლამური სამყარო და მისი ქრისტიანი მეზობლები: ქართულ-სპარსული, სპარსული და ოსმალური მოხატული დოკუმენტები საქართველოს არქივებსა და მუზეუმებში]. განთავსებულია ისლამურ ხელნაწერთა ასოციაციის ვებ-გვერდზე:

http://www.islamicmanuscript.org/conferences/past_conferences/2008conference.html

ანოტაცია: დასავლური და აღმოსავლური სამყაროს მიჯნაზე მყოფმა საქართველომ ელინურ-ბიზანტიურ, აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა სინთეზის განუმეორებელი მაგალითი მოგვცა. საუკუნეთა მანძილზე სხვადასხვა ხალხებთან არსებულმა პოლიტიკურ-კულტურულმა ურთიერთობებმა ასახვა საქართველოს მატერიალურ და წერილობით კულტურულ მემკვიდრეობაში ჰპოვა.

საქართველოს სიძველეთსაცავებში დაცულ სხვადასხვაენოვან დოკუმენტებში აღბეჭდილია როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე საქართველოს მეზობელი ხალხების პოლიტიკურ-სოციალური და კულტურული ყოფა. XVIII-XIX საუკუნეებში სეფიანთა ირანისა და ოსმალეთის მიერ საქართველოს ცალკეული მხარეების ინკორპორაციის პირობებში მოძალებული მუსლიმური კულტურის გავლენა აისახებოდა როგორც ქართული ხელნაწერი წიგნების, ასევე დოკუმენტების - ქართულ-სპარსული ორენოვანი საბუთების, აგრეთვე ისლამური წესით შედგენილი სპარსული და ოსმალური ფირმანებისა და გუჯრების მოხატულობაში.

საქართველოში დაცული ქართული, სპარსული და ოსმალური დოკუმენტები ძირითადად მინიატიურებით, დეკორითა და ინიციალებით არის გაფორმებული. იხატებოდა დოკუმენტური მასალის მხოლოდ გარკვეული სახეობები: ქართული სასისხლო სიგელები, წყალობისა და შეწირულების დოკუმენტები, სპარსული ფირმანები და საზეიმო რიტუალური შინაარსის საბუთები, ოსმალთა სულთნების სიგელები და მამულის ბოძების ბერათები. XVIII-XIX საუკუნეების დოკუმენტების მნიშვნელოვან ექსპონატთა შორის გამოიყოფა: ქართველ მეფეთა, საეკლესიო და საერო პირთა პორტრეტული გამოსახულებებით, სხვადასხვა სიუჟეტებით შემკული მინიატურებიანი საბუთები; ასევე ამ პერიოდის ქართული, ირანული, ოსმალური და ევროპული სამინიატურო ხელოვნების შესაბამისად ინიციალებით, მცენარეული და ცხოველური ორნამენტით დეკორირებული მაღალმხატვრული დოკუმენტები.

2. ც. აბულაძე, თურქულენოვანი ხელნაწერები და ოსმალური საბუთები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ფიროსმანი, #4, 2008.

ანოტაცია: სტატიაში შესწავლილია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული თურქულენოვანი (ოსმალური, აზერბაიჯანული, თურქმენული, უზბეკური, მონღოლური) უნიკალური ხელნაწერი წიგნები, მოცემულია მათი არქეოგრაფიული დახასიათება, გამოყოფილია აღმოსავლური ლიტერატურის ისტორიისათვის განსაკუთრებულად ღირებული, მათ შორის ალიშერ ნავოისა და ფუზულის თხზულებათა უძველესი ნუსხები. ცალკეა საუბარი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ოსმალურ დოკუმენტებზე (ფირმანი, არზა, ბუირულთი, ჰუჯათი), დახასიათებულია მათი შესწავლის დღევანდელი ვითარება, ხაზგასმულია ამ საბუთების მნიშვნელობა საქართველოსა და ოსმალეთის ისტორიული ურთიერთობების შესასწავლად.

სტატია გამოქვეყნებულია ქართულ და თურქულ ენებზე.

3. ზ. ალექსიძე, “სიყუარულსა ბერძენთასა ნუ დაუტევებთ|” - მარიამ ლორთქიფანიძის 85 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, 2007 (გამოვიდა 2008-ში)

ანოტაცია: ნაშრომში ნაჩვენებია, თუ როგორ ხედავენ ძველი ქართველი ისტორიკოსები საქართველოს არჩევანს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. მათი თვალთახედვით, ძველი საქართველოს სამეფო დინასტია დასაბამიდანვე აღმოსავლურია ან აღმოსავლურნარევი, ხოლო კულტურულ-პოლტიკური ორიენტაცია - დასავლური. ქვეყნის სახელმწიფო წყობა აღმოსავლურია, ხოლო სოციალური სისტემა და სულიერი ღირებულებები - დასავლური.

4. ზ. ალექსიძე, მოსე კალანკატუელის “ალბანეთის ისტორიის” ტექსტის კრიტიკისათვის, კრებ: ანალები, 2008

ანოტაცია: მოსე კალანკატუელის “ალბანთა ქვეყნის ისტორიის” (V-X) ანალიზი აჩვენებს, რომ ნაწარმოების მთავარი ღერძია ალბანური პატრიოტიზმი და ისტორიული მეტოქეობა სომხეთთან, სურვილი დაამტკიცოს, რომ ალბანეთის ეკლესია 17⁰ წლით ძველია სომხურზე. თანამედროვე მეცნიერთა ცდები, შეცვალონ მოსე კალანკატუელის თანმიმდევრული პოზიცია და ტექსტი შეასწორონ ისე, რომ პირიქით, სომხური ეკლესია გამოვიდეს ალბანურზე 17⁰ წლით უფროსი, ხოლო ალბანთა მეტოქეობა გადაიტანონ სომხებიდან ქართველებზე, ტექსტოლოგიურ-წყაროთმცოდნეობით კრიტიკას ვერ უძლებს. ამით მთლიანად ირღვევა “ალბანთა ქვეყნის ისტორიის” ქრონოლოგიური ქარგა. გარდა ამისა, ქრონოლოგიური მეტოქეობა ალბან ისტორიკოსს სწორედ სომხურ ეკლესიასთან აინტერესებს, რადგან თხზულების საბოლოო რედაქციის შექმნის დროს (X) ქართული ეკლესია უკვე ქალკედონურია და მისთვის საფრთხეს აღარ წარმოადგენს. ხოლო ალბანური,

სომხურთან ერთად, უკვე მონოფიზიტურია და, ისტორიკოსის აზრით, სომხური ეკლესიის სრული გავლენიდან თავის დაღწევა მხოლოდ თავისი ეკლესიის მეტი სიძველის დამტკიცებით შეუძლია. იმის წარმოდგენა, რომ ვინმე ალბანელი პატრიოტი შუა საუკუნეებში დაჯდა და მთელი წიგნი ასწორა ამ თვალსაზრისით, შეუძლებელია. როგორც დავინახეთ, დღესაც კი, ტექსტოლოგიის თანამედროვე დონეზე, დიდი სურვილის შემთხვევაშიც კი ვერ ხერხდება ისეთი სწორება, რომ დედნის კვალი მთლიანად წაიშალოს.

5. ზ. ალექსიძე, წმ. ნინოს ცხოვრებათა უძველესი ვერსიები, მათი თავდაპირველი სახელწოდება და სტრუქტურა, წმ. ნინოსადმი მიძღვნილი კრებული, 2008.

ანოტაცია: ნაშრომში გამოთქმულია ვარაუდი, რომ თავდაპირველად, როგორც ჩანს, არ არსებობდა ერთი წიგნი სახელწოდებით „მოქცევაი ქართლისაი“. არსებობდნენ წიგნები, რომელთაც „ქართლის მოქცევის წიგნები“ ეწოდებოდათ. ამ საერთო სახელით შეიძლება ცნობილი ყოფილიყვნენ გრიგოლ დიაკონისა და „მოქცევაი ქართლისაის მატინის“ სახელით ცნობილი თხზულებები, „წიგნი ნინოსის“, „ასურელ მამათა ცხოვრების“ წიგნები და შესაძლოა სხვაც, რომელთა სახელებსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ასეთი წიგნები ოდესმე უნდა გაერთიანებულიყვნენ ერთ კრებულად, რისი მაგალითიც არის *წმინ-სა*. შემდეგში კიდევ უფრო დავიწროვდა ქართლის მოქცევის წიგნები თავისი შინაარსის მიხედვით, რის შედეგადაც მივიღეთ ის, დღეს ცნობილი, „მოქცევაი ქართლისაი“. „წმ. ნინოს ცხოვრება“ „მოქცევაი ქართლისაის“ შემადგენლობაში და მასში გაერთიანებამდეც ითვლებოდა წმინდა ნინოს მიერ დაწერილ წიგნად და შესაბამისადაც ეწოდებოდა „წიგნი ნინოსის“ ან მარტივად - „ნინოსის“.

6. ზ. ალექსიძე, საქართველოს სამოციქულო, მართლმადიდებელი ეკლესია, კრ. რელიგიები საქართველოში, თბ., 2008

ანოტაცია: სტატიაში გადმოცემულია სრული ისტორია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა დასაბამიდან *XXIII* ს-ის ჩათვლით, ეპოქების მიხედვით დახასიათებულია მისი ღვაწლი საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში, ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის შექმნაში.

7. ზ. ალექსიძე, სომეხთა წმიდა სამოციქულო, მართლმადიდებელი ეკლესია: კრ. რელიგიები საქართველოში, თბ. 2008.

ანოტაცია: ნაშრომში მოცემულია სომეხთა ეკლესიის (ეჩმიაძინის, კონსტანტინოპოლის, იერუსალიმის, კილიკიის საპატრიარქოები და საქართველოს სომხური სამწყსო) ისტორია დასაბამიდან დღემდე, მისი სტრუქტურა, იერარქია, მოძღვრება, ღვთისმსახურება, საეკლესიო მწერლობა, კანონიკა და კალენდარი. მკითხველს სეუძლია გაეცნოს, აგრეთვე, სომხური კათოლიკური ეკლესიის ისტორიასა და მის გავრცელების არეალს.

8. **Алексидзе З. Становление национальных церквей на Кавказе (რუსულ და ინგლისურ ენებზე): Кавказ и Глобализация (The Caucasus and Globalization), სპეციალური გამოშვება: “Религии“ (Religions), CA&Press, Швеция (Sweden), 2008.**

ანოტაცია: გეოპოლიტიკური მდებარეობა კავკასიის ქვეყნებს გამუდმებით აყენებდა არჩევანის წინაშე აღმოსავლეთისა და დასავლეთის დიდ იმპერიათა. საქართველომ, სომხეთმა და ალბანეთმა დასავლური არჩევანი გააკეთეს, როდესაც თავის სახელმწიფო სარწმუნოებად ქრისტიანობა გამოაცხადეს. ბიზანტიისა და ირანის იმპერიები ერთმანეთის საწინააღმდეგოდ ქრისტიანობაში სხვადასხვა მიმართულებებს (ნესტორიანობა, მონოფიზიტობა, დიოფიზიტობა) უჭერდნენ მხარს. როგორც კი კავკასიის ეკლესიები ქრისტიანულ სამყაროში მიმდინარე პოლემიკაში ჩაერთვნენ მათ ბიზანტიის მეთვალყურეობით ჩატარებულ დვინის 506 წლის გაერთიანებულ ადგილობრივ კრებაზე მონოფიზიტობასა და დიოფიზიტობას შორის შემარიგებლურ პოლიტიკას დაუჭირეს მხარი იმპერატორ ზენონის „ჰენოტიკონი“ (482) მიიღეს. V-VI სს-ის შუახანებში ირანმა სცადა კავკასიაში ერთიანი მონოფიზიტური ბანაკი შეექმნა. ქართლმა, ალბანეთმა და სივნიეთმა არ მიიღეს მონაწილეობა ირანის მეთვალყურეობით ჩატარებულ დვინის საეკლესიო კრებებში. V-VI სს-ის დასაწყისში კავკასიაში მომხდარი დიდი საეკლესიო განხეთქილების დროს ქართლმა და ალბანეთმა სომხეთის ეკლესიის საპირისპიროდ ანტიმონოფიზიტური (ქალკედონური) პოზიცია დაიკავეს. 614 წელს ბიზანტიასთან ბრძოლებში გამარჯვებულმა ირანმა მოიწვია ე.წ. „სპარსული კრება“, რომელშიც კავკასიის ეკლესიებიდან მონაწილეობა მიიღეს სომხეთისა და ალბანეთის წარმომადგენლებმა. ხოსრო II-ის ბრძანებით კრების მონაწილეებს უნდა მიეღოთ „სომხური სარწმუნოება“ ან დაეტოვებინათ თავიანთი ქვეყნები. სომხეთისა და ალბანეთის ეკლესიები ამ ბრძანებას დაემორჩილნენ. 630-იანი წლებიდან ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლემ კვლავ დაიწყო დიოფიზიტებისა და მონოფიზიტების შემარიგებელი პოლიტიკა მონოთელიტობის ეგიდით. სომხეთმა და საქართველომ ნებით თუ უნებლიედ მხარი დაუჭირეს ამ დოქტრინას. ალბანეთის შესახებ ცნობა არა გვაქვს, მაგრამ უეჭველია ისიც მონოთელიტობას დაუჭირდაა მხარს. სომხური ეკლესია კათალიკოს იოანე ოძუნელის მეთაურობით VIII ს-ის 20-იან წლებში საბოლოოდ დაუბრუნდა მონოფიზიტობას. ალბანეთის ეკლესიამაც ამავე ხანებში თავისი არჩევანი გააკეთა „სომხური სარწმუნოების“, სასარგებლოდ. ალბანურმა დამწერლობამ და საეკლესიო ენამ თანდათან დაკარგა თავისი ეროვნული ფუნქცია.

9. **ხ. ბაინდურაშვილი, ისლამი და მუსლიმები XIX საუკუნის თბილისში (სტაგნაციის პერიოდი). ნ. შენგელია 75. (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ,**

პროფესორ ნოდარ შენგელიას დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული). თბ. 2008. გვ. 48-53.

ანოტაცია: სტატიაში განხილულია ისლამისა და მუსლიმების მდგომარეობა XIX საუკუნის თბილისში. რუსეთის იმპერიაში შექმნილი კონფესიური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე ნაჩვენებია თბილისის მუსლიმური თემის ზრდის დინამიკა, შიიტი და სუნიტი მუსლიმების თბილისში დამკვიდრების მიზეზები. ავტორს მიაჩნია, რომ მუსლიმი სასულიერო წოდების თვითმპყრობელობის სამსახურში ჩაყენების მიმართულებით ერთ-ერთ სერიოზულ ნაბიჯს წარმოადგენდა თბილისში შიიტი და სუნიტი სასულიერო პირების მოსამზადებელი სასწავლებლის (მედრესეს) დაარსება, რითაც მეფის მთავრობამ ისლამის მსახურთა და მუსლიმი მოსახლეობის პოზიცია ხელისუფლებისადმი საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარა. სტატიაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მუსლიმი სასულიერო პირების დანიშვნა ნებისმიერ იერარქიულ საფეხურზე მხოლოდ და მხოლოდ ხდებოდა და კონტროლირდებოდა კავკასიის მთავარი სამმართველოს მიერ. აღნიშნულ სტატიაში გარკვეული ადგილი ეთმობა მუსლიმურ სამართალწარმოებას, ყადის კომპეტენციას, თბილისში არსებული მეჩეთების მდგომარეობას. აღნიშნული პერიოდის თბილისში არსებობდა ირანელთა საკრებულო. აქ მოღვაწე ირანელებმა საფუძველი ჩაუყარეს საქველმოქმედო საზოგადოებას ირანელთათვის, დააარსეს მედრესე "ეთთეფაყი", რომელთაც ირანის მეჯლისი აფინანსებდა.

10. ბ. ბაინდურაშვილი. სუნიზმი თბილისში (VIII-XIV სს.). აღმოსავლეთი და კავკასია. #6. თბ. 2008. გვ. 13-22.

ანოტაცია: ნაშრომში განხილულია თბილისში სუნიტური ისლამის შემოსვლისა და მისი ცალკეული მაზჰაბების დამკვიდრების გზები და რელიგიურ-პოლიტიკური მიზეზები. ავტორი აღნიშნავს, რომ XVIII საუკუნიდან მოყოლებული XIX საუკუნის 20-იან წლებამდე თბილისში სუნიტური ისლამის შაფიტურ მაზჰაბს გაბატონებული მდგომარეობა ეკავა. XIX სს. თბილისი ამიერკავკასიის ერთ-ერთი მუსლიმურ-საღვთისმეტყველო ცენტრია. მუსლიმური აღმოსავლეთისათვის ცნობილი არიან ათ-თიფლისისა და ალ-ქურჯის ნისბით ცნობილი მუსლიმი თეოლოგები. ჰანაფიტური მაზჰაბის გავრცელების მცდელობას თბილისში ადგილი ჰქონდა ჯერ ჯალალ ად-დინის (XIII ს. 20-იანი წლები), შემდეგ თემურ-ლენგის პირველი ლაშქრობის (1386 წ.) დროს, რაც ვერ განხორციელდა.

11. ქ. ბეზარაშვილი, თ. ოთხმეზური, ელინოფილიზმი ძველ ქართულ მწერლობაში, ქართული ენის ენციკლოპედია, თბილისი, 2008.

ანოტაცია: სტატია დაიბეჭდა ენციკლოპედიაში, რომელიც პირველად მიემდვნა ქართული ენის საკითხებს. ელინოფილობა შეფასებული იქნა იმ შრომებზე დაყრდნობით, რომლებიც ბოლო დროს სრულდებოდა ქართულ მეცნიერებაში. სტატიას საფუძვლად დაედო ამ მიმართულების გააზრება არა მხოლოდ თარგმანის დამახასიათებელ მეთოდად, არამედ კულტურულ ორიენტაციად იმ ტიპის ბიზანტიურ სააზროვნო მოდელებზე, რომელსაც წარმართავდა სამეცნიერო აზროვნებისა და მეთოდების უპირატესობის გაძლიერება და განვითარება.

12. ქ. ბეზარაშვილი, სააზროვნო მოდელები ბიზანტიურ კულტურაში, ელინოფილობა და ქართული საერო ლიტერატურის წარმოშობის პრობლემა, სემიოტიკა, 3, თბილისი, 2008, გვ. 51-96.

ანოტაცია: ქართულად ნათარგმნ ლიტერატურაზე მუშაობამ ბერძნულ ორიგინალებთან მიმართებაში წლების განმავლობაში მთარგმნელობით და სტილისტურ საკითხებთან ერთად გამოკვეთა ქართული აზროვნების ზოგადად თეორიული და კულტურული ორიენტაციის საკითხების გაშუქების პერსპექტივები, რაც ჩამოყალიბდა სისტემური სახით. უპირველესად გამოიკვეთა თავად ბიზანტიური სააზროვნო მოდელები: ელინურობა, "გარეშე" სიბრძნისადმი დამოკიდებულება, გრამატიკული და ფილოსოფიური ფორმები, ახლებური გააზრება რიტორიკის თეორიის ცნებებისა (ჩაძვის, მშვენიერების, სტილთა დონეების და ა.შ.), რამაც ჯერ ქართულად ნათარგმნ ლიტერატურაში იჩინა თავი, ხოლო შემდგომ ორიგინალურ მწერლობაში. ყოველივე ამან ხელი შეუწყო საერო ლიტერატურის აღმოცენებას, რომელიც ძირითადად შინაარსობრივად და იდეოლოგიურად ბიზანტიურ თეოლოგიურ აზროვნებაზე იყო დაფუძნებული, ხოლო ფორმის თვალსაზრისით – ბიზანტიურ ესთეტიკაზე, ერთი მხრივ, და იმ დროისათვის კარგად ცნობილ და გავრცელებულ სხვა საერო ფორმებზე (მაგ., სპარსულზე), მეორე მხრივ. ამგვარი სინთეზი იძლეოდა იმ ტიპის ორიგინალურ მწერლობას, რომლის მსგავსი არ შექმნილა იმ პერიოდის აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში.

13. ქ. ბეზარაშვილი, The Interrelation between the Classical Literary Form and Christian Contents Interpreted by Gregory the Theologian in his Poem "On his own Verses", in Motivi e forme della poesia cristiana Antica tra Scrittura e tradizione Classica. XXXVI Incontro di studiosi dell' anticit  cristiana, Roma, 3-5 maggio, 2007 (Studia Ephemeridis Augustinianum 108), Institutum Patristicum Augustinianum, Roma, 2008, p. 281-292 (in English).

ანოტაცია: კლასიკური სალიტერატურო ფორმისა და ქრისტიანული შინაარსის ურთიერთმიმართების საკითხი ის სააზროვნო საკითხია, რომელიც თეორიულად ჩამოყალიბდა XI საუკუნეში მიქაელ ფსელოსმა, ბიზანტიური რიტორიული თეორიის წარმომადგენელმა. IV საუკუნის ღვთისმეტყველის გრიგოლ ნაზიანზელის ე.წ. *Œs Poetica*-დ ცნობილი ლექსის მიხედვით, რომელსაც მეცნიერები მრავალგზის შეისწავლიდნენ, იგივე საკითხები ჩანს განხილული; მას შემდეგ, რაც ფსელოსის რიტორიკული ცნებები ტერმინულად და

კონცეპტუალურად იქნა გაანალიზებული (ქ. ბეზარაშვილის ადრეულ შრომებში), შესაძლებელი გახდა გრიგოლ ნაზიანზელის თერიული მოსაზრებების დეფინიცია იმავე ცნებებისა და ტერმინების მიხედვით. ნაშრომი დაიბეჭდა იმ სამეცნიერო კონფერენციის მასალებში (რეფერირებად ჟურნალში), რომელიც სპეციალურად მიეძღვნა ანტიკური და ქრისტიანული პოეზიის ურთიერთმიმართების საკითხს.

14. ქ. ბეზარაშვილი, შავი მთა, “ქართული ენა”. ენციკლოპედია, ი. ქობალავას და გ. კვარაცხელიას რედ., თბ., 2008, გვ. 536-538.

ანოტაცია: ნაშრომში პირველად იქნა ჩამოყალიბებული შავი მთის სააზროვნო მიმართულების დეფინიცია არა მხოლოდ ადგილის, დროის, სამონასტრო კერებისა და კონტაქტების, არამედ ანტიოქიის როგორც ბერძნული განათლების პერიფერიული მნიშვნელოვანი ცენტრისა და მწიგნობრული მიმართულებების მიხედვით. ამ პრინციპით იქნა შერჩეული, თავმოყრილი და გააზრებული შესაბამისი მასალა, კოლოფონები და სამეცნიერო ლიტერატურა.

15. ქ. ბეზარაშვილი, On Some Definitions of the Art of Versification and Grammar in Byzantine and Georgian Literary Sources, in Le Museon, t. 121, fasc. 1-2, 2008, p. 153-181 (in English).

ანოტაცია: ნაშრომი დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე რეფერირებად ჟურნალში. მასში წარმოდგენილია ბერძნული ტექსტი და მისი კომენტარები, როგორც წყარო ელინისტური პერიოდის სამეცნიერო ფილოლოგიური აზროვნების შესწავლისათვის. ქართული თარგმანები იძლევიან გასაღებს ზოგიერთი სალექსთწყობო ტერმინის გაგებისათვის. ბერძნული და ქართული ტექსტების პარალელური ანალიზით მიღებულია დასკვნა, თუ რომელი ტერმინი რა ახალ მნიშვნელობას იძენდა შუა საუკუნეებში.

16. ქ. ბეზარაშვილი, ზოგადი განათლება ბიზანტიაში: ჰერმენევტიკული გრამატიკისა და ლექსთწყობის ზოგიერთი განმარტებისათვის ბიზანტიურ და ქართულ წერილობით წყაროებში, ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, 1, თბ., 2008, გვ. 370-414.

ანოტაცია: ნაშრომი წარმოადგენს ზემოთ დაბეჭდილი შრომის ქართულ თარგმანს. მასში განხილული პრობლემა ბიზანტიური განათლების კუთხით არის წარმოდგენილი. ჰერმენევტიკული გრამატიკისა და ვერსიფიკაციის ელინისტური განმარტებები შესწავლილია ბიზანტიური წყაროების მიხედვით, რომლებიც იძლევიან გასაღებს პოეტიკისა და ვერსიფიკაციის, როგორც გრამატიკის ნაწილის სასწავლო დანიშნულებისათვის შუა საუკუნეებში. შესაბამისად, პარალელურად შესწავლილია ამ დისციპლინების გამოყენების შესაძლებლობა გელათის საღვთისმეტყველო სკოლაში.

17. ქ. ბეზარაშვილი, Efrem Mcire (Pravoslavna% +nciklopedi%, t. XIX, 2008, s. 76-77).

ანოტაცია: მართლმადიდებლური ენციკლოპედიისათვის დაწერილი სტატია ეფრემ მცირეზე მოკლედ. მაგრამ საფუძვლიანად ასახავს იმ უახლეს შეფასებებს, რაც ამ მოაზროვნემ უკანასკნელ დროს მიიღო ქართულ მეცნიერებაში. დამოწმებულია უძირითადესი სამეცნიერო ლიტერატურა. ნაშრომი ძირითადად ეფუძნება ქ.

ბეზარაშვილის მონოგრაფიის დასკვნებს *XX* საუკუნის სააზროვნო პროცესების შესახებ, რომელშიაც გამოყენებულია ე. ჭელიძის, თ. ოთხმეზურის, დ. თვალთვამის, ნ. დობორჯგინიძისა და სხვათა შრომები ეფერემ მცირის შესახებ.

18. **ქ. ბეზარაშვილი, The Hierotopical Analogy of the Thorny Bush of St. Nino, in "St. Nino", წმ. ნინო. სამეცნიერო კრებული (St. Nino. Scientific Collection), I, Tbilisi, 2008, p. 144-155 (in English).**

ანოტაცია: ნაშრომში წარმოდგენილია საკრალურ სივრცეთა პარალელები, კონკრეტულად წმ. ნინოს მაცვლოვანისა და სინას მთის მოსეს ეკლიანი ბუჩქის მიხედვით. ნაშრომი ემყარება ქ. ბეზარაშვილის წინა პუბლიკაციებს მაცვლოვანის ლექსიკური და სიმბოლური მნიშვნელობის შესახებ. ლექსიკური მნიშვნელობა, როგორც ეკლიანი ბუჩქისა, და სიმბოლურ მნიშვნელობათაგან ღვთისმშობლის პარადიგმის მონაცემები პატრისტიკულ წყაროებში საფუძველს ქმნიან ღვთისმშობლისა და წმ. ნინოს ურთიერთმიმართების შეფასებისათვის. ეს ურთიერთმიმართება აშკარად და განმარტებულად მხოლოდ *XX* საუკუნის წერილობითი ძეგლებიდან ჩნდება ქართულ ლიტერატურაში, მაგრამ ადრეული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი მარტივი ფორმების მიხედვით უკვე თავს იჩენს "შოქცევის" ტექსტის უადრეს პლასტებში მაცვლოვანში მცხოვრები წმ. ნინოს სახისმეტყველების საშუალებით.

19. **ქ. ბეზარაშვილი, (თ. ლომიძესთან თანაავტორობით) სტრუქტურა და სემიოტიკა: გალაკტიონის ერთი ლექსის ანალიზი, სემიოტიკა, 4, 2008, გვ. 42-48.**

ანოტაცია: სტრუქტურული და სემანტიკური ანალიზი გალაკტიონის ლექსისა "ჭარხალი" გამოავლენს ანტიკური და ქრისტიანული ესთეტიკის კანონზომიერებებს პოეტთან. სიმბოლისტიკისათვის დამახასიათებელი პოლისემანტიკური ლექსიკა ქმნის ენიგმატურობისა და მიფარულების სახეებს (ერთი მხრივ, დიალექტიზმებზე დაფუძნებულ ლინგვისტურ-სტილისტურ და მეორე მხრივ, სემანტიკურ ბუნდოვანებას); ფუნქციურად სიმბოლისტიკის ენის ტოლი, ხოლო ფორმალურად "დაბალი" სტილი პოეტის მიერ გამოყენებული ბავშვური ენისა და მისი განსხვავება მოზარდის ენისაგან წარმოადგენს ანტიკური ესთეტიკის პლატონისეული შეფასებისა და სულიერად ზრდასრული ქრისტიანული ესთეტიკის სინთეზს, რომელსაც თავად გალაკტიონი თეორიულადაც ეხებოდა.

20. **შ. გლოველი. სვანეთის საერისთავო "აფხაზთა სამეფოს" შემადგენლობაში. სვანეთი ქართული კუთხურის სავანე, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. გვ. 66-71. გამომცემლობა "ხვამლი", თბილისი 2008.**

ანოტაცია: სვანეთის საერისთავო იყო დასავლურ-ქართული "აფხაზთა სამეფოს" ერთ-ერთი საერისთავო. ნაშრომში განხილულია ის ფაქტები რაც ამ საერისთავოს უკავშირდება სწორედ "აფხაზთა სამეფოს" არსებობის პერიოდში (*IX-X* სს.). ეპიგრაფიკული მასალის მიხედვით, გამყარებულია ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა იმის შესახებ, რომ სვანეთი მართლაც იყო "აფხაზთა სამეფოს" საერისთავო და დადგენილია ერისთავთა სახელებიც. ნაშრომში მიმოხილულია სამოხელეო ინსტიტუტის - "მამასახლისის" არაერთგვაროვნობა. ნაჩვენებია, რომ "აფხაზთა სამეფოს" სვანეთის საერისთავოს ერთ-ერთი მამასახლისი განსაკუთრებული

სტატუსითა თუ უფლებებითაც კი სარგებლობდა სხვა მამასახლისებთან შედარებით, რაც აიხსნება თავად "მამასახლისის" ინსტიტუტის შინაარსის მრავალსახეობით. ასევე, ნაშრომში მოყვანილია სვანეთთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერი მასალა.

21. ე. ედიშერაშვილი. "უბისის ეკლესიის მომხატველი ოსტატები", ჟურნალი "საქართველოს სიძველენი", #11.

ანოტაცია: უბისის მოხატულობა პალეოლოგოსური ხელოვნების მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, რომელშიც სრულად არის წარმოჩენილი სტილის ნიშნები: მონუმენტურობის დაკარგვა, თხრობითობის შემოტანა, კომპოზიციითა გართულება, პროპორციითა დაგრძელება, კონტრასტული დამუშავება და სხვ.

მეგლზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ უბისის მოხატულობა ხუთმა ოსტატმა შეასრულა. პირველ ოსტატს მივაკუთვნეთ კონქის, კამარის და მისი თაღების მოხატულობა, მეორე ოსტატს - სამხრეთი კედელზე, ზედა, პირველ რეგისტრში განთავსებული სცენები - „ჯვარცმა“, „გარდამოხსნა“, „დატირება“ და დასავლეთი კედლის ზედა თაღოვან ნაწილში მოთავსებული „სულიწმინდის მოფენის“ კომპოზიცია, ხოლო საკურთხევლის აფსიდში გამოსახული „საიდუმლო სერობის“, „მოციქულთა ზიარების“ და ჩრდილოეთი კედლის ზედა, პირველი რეგისტრის კომპოზიციების - „იერუსალიმად შესვლა“, „ღვთისმშობლის მიძინება“ და „ამაღლება“ - შემსრულებლად კი მესამე ოსტატი მივიჩნიეთ. მეოთხე ოსტატის შესრულებული უნდა იყოს მეორე რეგისტრი - წმ. გიორგის ციკლი, ხოლო ქვემოთ, თაღებში მოთავსებულ წმინდანთა ფიგურებს მეხუთე მხატვარი ასრულებს. ნაშრომში დახასიათებულია მათგან პირველი სამი ოსტატი, რომელთაც, სავარაუდოდ, ეკლესიის საკურთხევლის კონქი, კამარა და ზედა რეგისტრები მოხატეს. კონქის, კამარის და თაღების მომხატველს პირობითად მთავარი ოსტატი ვუწოდეთ. როგორც ცნობილია, კამარის თაღზე წარწერაა, რომლიდანაც ვიგებთ, მხატვრის სახელს - გერასიმეს, და ვფიქრობთ, რომ სწორედ იგი უნდა იყოს მთავარი ოსტატი. წერილის მიზანს წარმოადგენს იმ ოსტატების წარმოჩენა და გარჩევა, რომლებიც მხატვრობის შესრულებაში მონაწილეობდნენ და წარმოგვეჩინა მათი თავისებურებანი.

22. დ. კლდიაშვილი, ქართული სამონასტრო სულთა მატთანები, I. სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატანე (მონოგრაფია), თბილისი, "გამომცემლობა ნეკერი", 2008, 292 გვ. (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

ანოტაცია: წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სინოდიკონი პირველი ნაკვეთია სერიისა ქართული სამონასტრო სულთა მატთანები. სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში დავით აღმაშენებლის (1089-1125) მიერ აშენებულ წმ. გიორგის ქართველთა ეკლესიაში შედგენილი მოსახსენებელი მატანე ქართულ სინოდიკონებს შორის სრულიად გამორჩეულია. მასში შეტანილმა მოსახსენებლებმა სამუდამო ხსოვნა შემოინახა ქართველ მეფეთა, კათალიკოს-პატრიარქთა, ეპისკოპოსთა, სინას მთისა და იერუსალიმის ქართველ ბერ-მონაზონთა _ ჯვარის მამათა და გოლგოთას მოღვაწეთა, წმინდა მიწაზე ჩასულ მომლოცველთა.

მაშენებელთა და შემწირველთა სახელებისა, *ქს* საუკუნიდან მოყოლებული *ქქ* საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით.

23. დ. კლდიაშვილი, სოლომონისი (კალმახის ლოკალიზაციისათვის), ანალები, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი აკად. დ. მუსხელიშვილის 80 წლის იუბილესადმი, თბილისი, 2008, გვ. 249-278.

ანოტაცია: ისტორიულ ოლთისში (ამჟამად თურქეთი), ბანას ცნობილი კათედრალის მიმდებარე მხარეში, მაღლა კლდოვან მთაში მდებარე სოლომონ-ყალას ანუ სოლომონის ციხის სახელით ცნობილი სოფლის (ადრინდელი სოლომონისი, დღევანდელი შოგომონ *ჭლე*) სიახლოვეს მდებარე სიძველეებმა *ქქ* საუკუნეში მიიქცია მოგზაურთა და მკვლევართა (ე. ვეიდენბაუმი, დ. ბაქრაძე, ე. თაყაიშვილი) ყურადღება. მას შემდგომ, რაც 1878 წლის ბერლინის ხელშეკრულებით რუსეთმა ოსმალეთისაგან ეს ტერიტორიები მიიღო.

სოფელ სოლომონისის სამხრეთით, კლდოვან ადგილას დიდი ციხე იდგა, შიგ მდებარე წმ. დიმიტრის პატარა მოხატული გუმბათიანი ეკლესიით, ხოლო ჩრდილოეთით, თეთრი ფერის, მოყვითალო კონუსურ მწვერვალთა ერთიანობით შექმნილ კლდოვან მასივში პატარა სამონასტრო კომპლექსია. წმ. ნიკოლოზის გამოქვაბული ეკლესიითა და მის ჩრდილოეთით მდებარე ასევე გამოქვაბული დასაკრძალავით.

სტატიაში, ისტორიული წყაროებისა და სოლომონისის წარწერების განხილვის საფუძველზე, სოლომონ-ყალა იდენტიფიცირებულია მხარის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ციხე-სიმაგრესთან – კალმახის ციხესთან.

24. დ. კლდიაშვილი, უცნობი სააღაპე წარწერა იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან, საქართველოს სიძველენი, 11, თბილისი, 2007 (2008), გვ. 146-152.

ანოტაცია: წმინდა მიწაზე ქართველთა მოღვაწეობასთან დაკავშირებული ეკლესია-მონასტრების, ფრესკების, ეპიგრაფიკული ძეგლებისა თუ მათი კუთვნილი ნივთების დიდი ნაწილი დღეისათვის ფაქტობრივად დაკარგული ან დაღუპულია. ასეთ პირობებში პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება ქართველ მომლოცველთა, მოგზაურთა და სწავლულთა იმ აღწერილობებსა და ჩანაწერებს (ტიმოთე გაბაშვილი, გიორგი ავალიშვილი, პეტრე კონჭოშვილი, ნიკოლოზ ჩუბინაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი), რომლებმაც ჩვენამდე *ქქ* საუკუნეებიდან მოაღწიეს. პალესტინის სიძველეების შესახებ მათში დაცული ინფორმაციის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ბუნებრივია, დიდია ინტერესი ყოველი ახალგამოვლენილი მასალისადმი.

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულია *ქქ* საუკუნეში უცნობი პირის მიერ გაკრული ხელით ნაწერი პატარა რვეული (ქიმ #7, #8), რომელიც იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მხატვრობის, წარწერებისა და სიძველეების აღწერილობას ეხება. აღწერილობა ეკუთვნის *ქქ* საუკუნის პირველ ნახევარში ჯვრის მონასტერში მოღვაწე ბერს, ალექსანდრე ლორთქიფანიძეს. ა. ლორთქიფანიძის მიერ ჯვარის მონასტრის მხატვრობისა და იერუსალიმის სავანეებისათვის შეწირული ნივთების წარწერების თაობაზე მოტანილი მასალების

ნაწილი აქამდე ცნობილი არ ყოფილა და არც სხვა ავტორებთან დასტურდება. აღწერილობაში დაცული ინფორმაციის მნიშვნელობას ისიც ზრდის, რომ შექმნილი დასახელებული წარწერებისა და ნივთების ნაწილი დღეს უკვე დაკარგულია და ზოგიერთ მათგანზე ცნობა სწორედ ამ აღწერილობამ შემოინახა.

ერთ-ერთი დღემდე უცნობი ასეთი წარწერა მეღნიშნო ყოფილა შესრულებული ჯვრის მონასტრის მთავარი ტაძარში საკურთხეველის შესავალი კარის (სავარაუდოდ, სადიაკვნესა და საკურთხეველის დამაკავშირებელი დიობის) შიდა კედელზე. იგი წარმოადგენს რუსუდან აფხაზთა მეფის ასულის დღემდე უცნობ სააღაპე წარწერას. გაირკვა, რომ წარწერა შესრულებულია *ᲬᲞ* საუკუნის პირველ ათწლეულში, 1305-1313 წლებს შორის; იგი დიმიტრი *ჭისა* ასულის (კომნენის ქალისაგან) და თაყა ფანასკერტელის თანამეცხედრის, რუსუდანის სააღაპე განჩინებას წარმოადგენდა; წარწერა შესრულებული უნდა იყოს იმ პერიოდში, როცა მიზგითად ქვეული ჯვრის მონასტერი მამლუქებმა ქართველებს დაუბრუნეს და მოხდა დაბრუნებული მონასტრის განახლება (საადმინისტრაციო სამუშაოების ჩატარება) და ხელმეორედ მოხატვა.

25. ე. მანია, ბარონი ნიკოლაი და სოფიო ჭავჭავაძე – ერთი ბედისწერის ბარონი და ბარონესა. გაზ. “ახალი ივერია”. #2 (35).

ანოტაცია: ჭრანგული წარმოშობის მაღალი თანამდებობების რუსი ჩინოვნიკის, რუსეთის იმპერიასა და კავკასიას შორის მედიატორის ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის პირადი არქივის დიდი ნაწილი ნაკლებად არის ცნობილი საზოგადოებისთვის. რეგიონის ისტორიის შესწავლისთვის უნიკალური მასალა – იმამ შამილისა და მისი ნაიბის მიმოწერა ალექსანდრე ნიკოლაის ძმასთან ლეონტი ნიკოლაისთან 1937 წელს პირველად გიორგი წერეთელმა მეტად ვიწრო სამეცნიერო წრისთვის გამოაქვეყნა.

შამილისა და აუხის ნაიბის ჰაზუს წერილები, ძირითადად, ტყვეთა გაცვლას ეხება. ერთ წერილში ნახსენებია ქართველი ტყვე ქალიც, რომლის გაცვლასაც კავკასიელები რუსეთში ტყვეობაში მყოფ ალთუნ მირზაში აპირებდნენ.

ეს წერილები უდავოდ საინტერესო მასალას წარმოადგენს ტყვეთა გაცვლის საკითხების ირგვლივ წარმოებული მოლაპარაკებების პროცესის კვლევისთვის.

საინტერესოა, რომ ალექსანდრე ნიკოლაი ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილის სოფიოს მეუღლე იყო. შეუვალი პრიციპების, იშვიათი გავლენისა და ავტორიტეტის ბარონის პირად არქივში სოფიოსთან დაკავშირებული დიდი კრძალვითა და სიყვარულით აღბეჭდილი მასალებიც ინახება.

26. ე. მანია, ექსპრესიული ენობრივი ელემენტები პუბლიცისტიკაში – საზოგადოებრივ-ოილიტიკური ვითარების ინდიკატორი. “საენათმეცნიერო ძიებანი”. XXVII. 2008.

ანოტაცია: უდავოა, რომ მასმედიის როლი თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში თვალსაჩინოდ გაიზარდა, რაც თავისთავად გულისხმობს მისადმი ნდობის ხარისხის ამღვლელებს. სოციალური თავისი აზროვნებით, ინტერესთა სფეროთი და, შესაბამისად, ქცევით დამოკიდებული გახდა ამ ინსტიტუტზე. თანამედროვე საზოგადოებაში უკვე

დანერგილი და სამომავლო ტენდენციების წყაროდ უმეტესწილად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მოწოდებული მასალა გვევლინება. *„შედიის კვლევის სხვადასხვა ვექტორს ხშირად საგულისხმო შედეგებამდე მივყავართ.*

რეციპიენტის ქცევის შეცვლა პუბლიცისტიკის ორგანიზატორული ფუნქციის უმაღლესი საფეხურია. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ეს დარგი თავის მანიპულაციურ-მქადაგებლურ ბუნებას ორი გზით ამჟღავნებს: ფაქტის შერჩევის ტენდენციით და ექსპრესიული ლინგვისტური ელემენტების გამოყენების გზით. ემპირიული ფაქტი დაკვირვებას, განზოგადებას, შეფასებას, რეკომენდაციებს და ავტორისეულ აღქმას ექვემდებარება. *წმ საფეხურების გავლის შემდეგ პოტენციური ინფორმაცია, საგრძნობლად შეცვლილი სახით, რეალურ ინფორმაციად გარდაიქმნება. ჟურნალისტი საკუთარი ცნობიერების მექანიზმის სტრუქტურის მიხედვით აკომპლექტებს და აბალანსებს ინფორმაციას.*

პუბლიცისტი *“ენობრივი ფანტომების”, მკითხველისადმი აპელირების, ფსევდო-რიტორიკული პასაჟების, სიმართლისებრი ტყუილის და სხვა ექსპრესიული ლინგვისტური ხერხით თვისობრივად ახალ სივრცეს ქმნის ინფორმაციის წყაროსა და აუდიტორიას შორის. ხშირად ამგვარი ენობრივი ელემენტები თანამედროვე პოლიტიკური ვითარებებისა და საზოგადოებრივი განწყობების ინდიკატორები ხდება. მათ ანალიზს საზოგადოების ფსიქოლოგიური და სოციალური მდგომარეობის სარწმუნო მახასიათებლებამდე მივყავართ. ჩვენ მიერ შესწავლილმა და თემატურად დაჯგუფებულმა ამგვარმა ელემენტებმა საზოგადოებრივი ტენდენციების შემდეგი მახასიათებლებამდე მიგვიყვანა: აგრესია, იძულება, პირფერობა, გაზვიადება-გადაჭარბება, ვარაუდი...*

ეს ენობრივი ელემენტები ისევე ახდენს სათქმელის დეკოდირებას, როგორც ამ სათქმელში კოდირებული ემპირიული ფაქტის კონსერვაციას, შესაბამისად, პიროვნების სოციალური ინტეგრაციის საშუალებასაც ქმნის და არაზუსტი ინფორმაციით მის საზოგადოებისგან იზოლირების საფრთხესაც იწვევს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ამგვარი ფუნქციონირება შეუქცევადი პროცესია. პუბლიცისტიკა მანიპულირების საკუთარი მეთოდებით შუამავლობს ხელისუფლების სამივე შტოსა და ამ უკანასკნელისადმი კონფრონტაციულად განწყობილ საზოგადოებას შორის, რომლებიც ინტერაქტიულ ურთიერთობებში არიან ჩართული და ერთმანეთზე ზემოქმედებენ. სწორედ ამიტომაც, რომ ხშირად ცალკე აღებული ექსპრესიული ლინგვისტური ნიმუშები არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების კვლევისთვის ასეთი მნიშვნელობის მასალას გვაწვდის. მედიოლოგების, სოციოლოგების და ფსიქოლოგების ერთობლივმა კვლევებმა ამ თვალსაზრისით, შესაძლებელია, საზოგადოების აზროვნების ტენდენციების პერსპექტიული ხაზი გვიჩვენოს და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების განახორციელების შესაძლებლობაც მოგვცეს.

27. ე. მანია, *ფერგადასული ფურცელი, რომელიც ქრონოტოპულ ზღუდეს არღვევს (ნარკვევი ი. ჭავჭავაძის უცნობი და ნაკლებად ცნობილი წერილების შესახებ. გაზ. “ახალი ივერია”, #10-11 (42-43).*

ანოტაცია: ილია ჭავჭავაძის პირად საარქივო ფონდში მისი პირადი მიმოწერის დიდი ნაწილი ინახება. 1863-1864 წლებში მეუღლისადმი, ოლღა გურამიშვილისადმი, მიძღვნილ საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილ წერილებში ილიას, როგორც პიროვნებისა და საზოგადო მოღვაწის, პორტრეტული შტრიხების შესავსებად და დასაზუსტებლად უნიკალური მასალა მოიპოვება. სტატიაში პირადი წერილების ფრაგმენტების გარდა, საუბარია სხვადასხვა პერიოდულ ორგანოში დასაბეჭდად გაგზავნილი მხატვრული ნაწარმოებების მინაწერებზეც. რითაც ხშირად ეპოქის რეკონსტრუქციას შესაძლებელი და რომელიც ხშირად დრო-სივრცულ ბარიერებს არღვევს.

28. შ. მურუსიძე, ეროვნული მთავრობის ლეგაცია პარიზში. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, თბ., 2008, VIII

ანოტაცია: ნაშრომში შესწავლილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საფრანგეთის საელჩოს ისტორია. როდემაც პარიზში აკრედიტაცია მიიღო 1921 წლის 25 თებერვალს. საუბარია პარიზის ქართული ლეგაციის მოღვაწეობის მიზნებსა და ამოცანებზე. მათი განხორციელების გზებზე. ქართული საელჩოს მუშაობის თავისებურებებზე, რაც განპირობებული იყო საქართველოს გასაბჭოებით და დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ემიგრაციაში ყოფნით. განხილულია იმ პერიოდის საერთაშორისო პოლიტიკა, მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ეროვნული ინტერესები და მათთან მიმართებაში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი.

29. შ. მურუსიძე, ქართული ემიგრაციის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კვლევის პრობლემები. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2008, 2(4)

ანოტაცია: პუბლიკაციაში წარმოჩენილია ის წყაროები და ისტორიოგრაფია, რომელსაც ქართული ემიგრაციის ისტორიის შესწავლისას მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის. საუბარია საკითხის კვლევის წყაროთმცოდნეობით პრობლემებზე. აგრეთვე ერთიან კონტექსტშია გააზრებული ქართული ემიგრაციის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უკვე გამოკვლეული და, აგრეთვე ჯერ შეუსწავლელი ასპექტები.

30. გ. მჭედლიძე, ქვემო ქართლის მონასტრების ისტორიიდან (წულრულაშენი), საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, IX, გამომცემლობა “უნივერსალი”, 2008.

ანოტაცია: წულრულაშენის მონასტერი მდებარეობს ქვემო ქართლში, მდინარე ფოლადაურის მარჯვენა მხარეს. აშენებულია XVIII ს-ის 9 ნახევარში, გიორგი ბრწყინვალის მეფობის ხანაში. მაშენებელია ჰასან არსენისძე. საამშენებლო წარწერაში მოხსენიებული “უნზადი”, ნიშნავს არა ადგილს, არამედ გუმბათს და წარწერაში სწორედ გუმბათის აშენებაზეა საუბარი.

31. თ. ოთხმეზური, მარგინალური ნიშნები ძველ ქართულ ხელნაწერებში, ქართული ენა, ენციკლოპედია, თბილისი, 2008, გვ. 299-300.

ანოტაცია: საენციკლოპედიო სტატია ეხება ოთხ მარგინალურ ნიშანს (ძზის თუალი, ვარსკვლავი, შეისწავე~ და შუენიერი~), რომლებიც დასტურდება ძველ ქართულ ხელნაწერებში და ამ ნიშანთა გამოყენების წესს, რომელიც სქოლიოს სახით ასევე დაცულია ქართულ ხელნაწერებში. ეს ნიშნები ძირითადი ტექსტის ექსპოზიციურ კომენტარს წარმოადგეს და უშუალო კავშირშია ბიზანტიურ ხელნაწერთა მარგინალურ ატრიბუტიკასთან.

32. თ. ოთხმეზური, Greeks in Georgia, 16th-18th Centuries, Das Bild Griechenlands im Spiegel der Völker (17. bis 18. Jahrhundert), Philhellenische Studien Band 14, Herausgegeben von E. Konstantinou, Frankfurt am Main, 2008, p. 21-28.

ანოტაცია: სტატია ეხება ქართულ-ბერძნულ გვიანდელ (16-18 სს.) ლიტერატურულ ურთიერთობებს, რომელიც ამ ეპოქაში ხორციელდებოდა არა უშუალოდ, არამედ ბერძნულენოვანი ლიტერატურული პროდუქციის რუსულიდან და სომხურიდან თარგმნის გზით, თუმცა მრავალსაუკუნოვანი ქართულ-ბერძნული ლიტერატურული ტრადიცია – ბიზანტიური ლიტერატურული ძეგლების უშუალოდ ბერძნულიდან გადმოტანა – ირიბი გზით ამ ეპოქაშიც იჩენს თავს (სულხან-საბას „ლექსიკონი ქართული“, დავით ბატონიშვილის „მითოლოგიური ლექსიკონი“).

33. თ. ოთხმეზური, შუა საუკუნეების ქართული სამეცნიერო აზროვნების ისტორიიდან: ეფრემ მცირის სქოლიო სამყაროს გეოცენტრულობის შესახებ, სემიოტიკა IV, 2008, 126-141.

ანოტაცია: სტატიაში განხილულია გრიგოლ ნაზიანზელის 43-ე საკითხავის ბასილი მინიმუსის კომენტარზე დართული ეფრემ მცირის ორიგინალური სქოლიო, რომელშიც განმარტებულია ბერძნული ლექსიკური ერთეულები – სფერო და ჰემისფერო; ამასთანავე ჩამოყალიბებულია სამყაროს გეოცენტრული ხედვა. განხილულია ამ სქოლიოს წყაროები: თავად ბასილი მინიმუსის კომენტარები გრიგოლ ნაზიანზელის 16 ლიტურგიკულ საკითხავზე და იოანე დამასკელის „გარდამოცემა“.

34. მ. რაფაგა, «გარემოვლითი სწავლულების» (ეჟგუვკლიო პაიდეივა) გაგებისათვის ძველ ქართულ მწერლობაში», „ლოგოსი“ III, 2008წ.

ანოტაცია: “გარემოვლითი სწავლულება” ძველ ქართულ მწერლობაში იხმარებოდა განათლების, სწავლა-აღზრდის მნიშვნელობით. სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით ნაშრომში განხილულია ის საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც ცნობილი იყო ძველ საქართველოში. საღვთისმეტყველო განათლებასთან ერთად აუცილებელი იყო კვადრივიუმითა და ტრივიუმით გათვალისწინებული სამეცნიერო საგნების სწავლება. მწერლობისა და ზოგადად კულტურის კონტექსტში სწავლა-განათლების ეს სისტემა მეტყველებს, რომ ძველ საქართველოში სავსებით კანონზომიერად მიაჩნდათ ცოდნისა და რწმენის ურთიერთმერწყმა.

35. მ. რაფაგა, მოსკოვის წმ. ტიხონის მართლმადიდებლური ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ჟურნალში: «Полемические сочинения против армянских монофизитов в древнегрузинской литературе»., М. 2008.

ანოტაცია: ნაშრომში თავმოყრილია ის პოლემიკური თხზულებები, რომლებიც დასტურდება ძველ ქართულ მწერლობაში სომხური მონოფიზიტობის წინააღმდეგ. ეს თხზულებები მოიცავს პერიოდს X ს.-დან XVII ს.-ის ჩათვლით. თითოეულ მათგანთან მოცემულია ავტორი, თარიღი, ხელნაწერები, გამოცემები, თემატიკა, რომლის გარშემო მიმდინარეობს პოლემიკა. წმინდა პოლემიკური ჟანრის თხზულებების გარდა, განხილულია ისტორიული ხასიათის თხზულებებიც, ასევე ფრაგმენტები სხვადასხვა ისტორიული ნაწარმოებებიდან.

36. მ. რაფავა, სომხურ მონოფიზიტობასთან პოლემიკა ნიკიტა სტიტატის ხუთი ტრაქტატის მიხედვით, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია « ტბელობა », 2008, 56-62.

ანოტაცია: ნაშრომში განხილულია ნიკიტა სტიტატის ხუთი პოლემიკური ტრაქტატის არსენ იყალთოელისეული თარგმანი ბერძნულ ორიგინალთან მიმართებით. შედგენილობის, ტექსტობრივი წაკითხვების და სხვა ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიური მონაცემების შესწავლის საფუძველზე ვლინდება, რომ არსენის თარგმანის სახით დაცულია ორიგინალის ტექსტის უძველესი სახე. ქართული თარგმანის მეშვეობით შესაძლებელი ხდება არქექტიპის აღდგენა, რაც ჩვენამდე მოღწეული ბერძნული ხელნაწერებით არ ხერხდება.

37. მ. რაფავა. სომხური მონოფიზიტობის წინააღმდეგ ქართულ მწერლობაში არსებული ნაწარმოებების სტილისტიკა, ბიზანტოლოგია საქართველოში, 2008.

ანოტაცია: ნაშრომი ეხება სომხური მონოფიზიტობის წინააღმდეგ მიმართული ნიკიტა სტიტატის პოლემიკური თხზულებების სტილისტიკას. შინაჩვენებია, როგორ შეეხამება სტილისტურ-მეთოდოლოგიურად ნიკიტა სტიტატის თხზულებები ორთოდოქსული ღვთისმეტყველების მიერ სხვადასხვა ერესთან და ჰეტეროგენულ სარწმუნოებებთან წარმოებულ დისკუსიას. ხაზგასმულია, რომ ნიკიტა სტიტატის მიერ წარმოებული დისკუსია არის სავსებით აკადემიური, საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურ ცოდნაზე დამყარებული და რაც მთავარია, კეთილგანწყობლური.

38. M. Rapava. Pour la réception d'«Anakephaleiosis» d'Épiphané de Chypre dans l'ancienne littérature géorgienne, ჟურნ. Pneumatikhv diakoniva, Konstantiva, 2008, ნაკვეთი 20, გვ.22 .

ანოტაცია: კვიპროსზე კონსტანტიას მიტროპოლიის დაარსებისა და წმ. ეპიფანე კვიპრელისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენება ეხება ეპიფანე კვიპრელის თხზულების « ანაკეფალაიოსის » ქართულ თარგმანს. შესრულებულს თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ. სტატიაში ყურადღება ძირითადად გამახვილებულია თეოფილეს თარგმანის მიმართებაზე იოანე დამასკელის ტრილოგიის მე-2 ნაწილთან « ერესების შესახებ ». ქართული თარგმანის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ბერძნულად არსებობდა ეპიფანეს თხზულების რედაქტირებული ტექსტი, რომელიც შემდგომ გამოიყენა იოანე დამასკელმა.

39. М. Рапава. Первое обличительное слово против армян, (« განსაქიქებელი პირველი მგმობრისა მის წვალებისა სომეხთაჲსაჲ»), Богословский вестник, журн. Московской духовной академии и семинарии, 7, 2008.

ანოტაცია: მოსკოვის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ჟურნალში "საღვთისმეტყველო მაცნე" გამოქვეყნდა ნიკიტა სტითატის პირველი პოლემიკური ტრაქტატის არსენ ივალთოელის თარგმანის კრიტიკული ტექსტი. ქართული ტექსტი დადგენილია ყველა ძველი ხელნაწერის მიხედვით. ქართული ტექსტი გამოქვეყნდა ბერძნული ორიგინალის ტექსტთან ერთად, რომელიც განახორციელა სერგიევ-პოსადის მღვდელმონაზონმა დიონისიოსმა.

40. გ. საითიძე, ილიას "ივერია" და "ოსმალის საქართველო", საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ილია ჭავჭავაძე და მისი ეპოქა" (მასალები), თბილისი, 2008, გვ. 150-162. გამომცემლობა "პირველი ელექტრონული გამომცემლობა".

ანოტაცია: ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოშვებული "ივერია" დიდ ყურადღებას უთმობდა ისტორიული სამხრეთ საქართველოს პრობლემატიკის გაშუქებას, რომელთა სპექტრი მეტად ფართო იყო, ხუროთმოძღვრული ძეგლების აღწერით დაწვებული, ადგილობრივი მოსახლეობის – ქართველი მაჰმადიანების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით დამთავრებული. 1878-1906 წწ. "ივერიაში" დაისტამბა არაერთი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის სტატიები, რომელთა შორის დაგასახელებდით ზაქარია ჭიჭინაძეს, ალექსანდრე ყიფშიძეს ("ფრონელი") და სხვ. სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სპეციალისტებისა და საზოგადოების ფართო წრეებისათვის თითქმის უცნობი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის – სოლომონ ასლანიშვილის („ბავრელი“) (1851-1924 წწ.) ღვაწლის წარმოჩინებას. სწორედ მას ეკუთვნის "ივერიაში" დაბეჭდილი "ოსმალის საქართველოსადმი" მიძღვნილი პირველი პუბლიკაცია. ს. ბავრელის პუბლიკაციებში დაცული ცნობები ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების, ადამ-წესების, ისტორიული ძეგლების და ა. შ. შესახებ მნიშვნელოვანი პირველწყაროა XIX ს-ის მეორე ნახევრისა და XX ს-ის დამდეგის „ოსმალის საქართველოს“ ისტორიის შესასწავლად.

41. გ. საითიძე, რაფიელ ერისთავის "ცნობანი ოსმალის საქართველოზე", ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი "ლაშქარი", პროფესორ-მასწავლებელთა I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "თანამედროვე მეცნიერების აქტუალური საკითხები", ქუთაისი, 2008, გვ. 134-137. რეზიუმე ინგლისურ ენაზე [თანაავტორი: სულხან კუპრაშვილი].

ანოტაცია: პუბლიკაციის ფარგლებში სათანადო სამეცნიერო აპარატიურთა ქვეყნდება გამოჩენილი ქართველი პოეტის, ეთნოგრაფისა და საზოგადო მოღვაწის რაფიელ ერისთავის (1824-1901 წწ.) სტატია „ცნობანი ოსმალის საქართველოზე“, რომელიც აქამდე მხოლოდ ერთხელ, 1875 წელს იყო დაბეჭდილი გაზეთ „დროების“ ფურცლებზე (16 ივლისი, № 80, გვ. 1-2; 18 ივლისი, № 81, გვ. 1-2). დღეისათვის აღნიშნული სტატია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად არის ქცეული.

სტატიაში რაფიელ ერისთავი არაერთ საკვანძო საკითხზე ამახვილებს მკითხველის ყურადღებას. კერძოდ, მოკლე ისტორიული ექსკურსის შემდეგ ასახელებს ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალ ქართულ პროვინციებს; აღწერს მათ მდებარეობას; ჩამოთვლის ქართველ მაჰმადიანთა გვარებს, სოფლებს, ეკლესია-მონასტრებსა და ციხე-სიმაგრეებს; აღწერს ქართული მოსახლეობის გარეგნობას, მათ ტანისამოსს, რევიონში გავრცელებულ კერძებსა და სხვ.

42. Саитидзе Г., Карл фон Ган – выдающийся исследователь Кавказа, журн. "Кавказ&Глобализация" (Журнал социально-политических и экономических исследований), Том 2, Выпуск 1, Швеция, 2008, стр. 169-176 (Институт стратегических исследований Кавказа).

43. Saitidze G., Carl von Hahn – outstanding Student of the Caucasus, "The Caucasus&Globalization" (Journal of Social, Political and Economic Studies), Volume 2, Issue 1, Sweden, 2008, pp. 153-160 (Institute of Strategic Studies of the Caucasus).

ანოტაცია: სტატიაში განხილულია გამოჩენილი გერმანელი მეცნიერის, კავკასიოლოგისა და მოგზაურის - კარლ ფონ ჰანის (1848-1925 წწ.) ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი ასპექტები, ხაზგასმულია კავკასიოლოგიის განვითარებაში მის მიერ შეტანილი წვლილი. კარლ ფონ ჰანმა თავისი ხანგრძლივი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობით საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა.

კარლ ფონ ჰანის სამეცნიერო ინტერესების დიაპაზონი მეტად ფართო იყო. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ კარლ ფონ ჰანმა, მკვლევართა შორის პირველმა, შეაგროვა, ორიგინალებიდან თარგმნა და სათანადო კომენტარებითურთ გამოაქვეყნა ძველი ბერძენი, რომელი და ბიზანტიელი ავტორების ცნობები კავკასიის შესახებ. კარლ ფონ ჰანი არის კავკასიის ხალხების ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებისადმი მიძღვნილი მრავალი პუბლიკაციის ავტორი.

44. მ. სურგულაძე, მცხეთიშვილები, "ანალები", 2008, #3.

ანოტაცია: სტატია ეძღვნება შუა საუკუნეების საქართველოში მოქმედ მცხეთიშვილთა ინსტიტუტს. მისი ფუნქციონირების რელიგიურ, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ასპექტებს. სოციალურად მცხეთიშვილები მიეკუთვნებოდნენ საეკლესიო აზნაურთა ფენას, რომლის კონტიგენტი მკაცრად იყო შერჩეული და სამეფო ხელისუფლებისაგან დამტკიცებას ექვემდებარებოდა. გვიანი შუა საუკუნეების დოკუმენტური მასალის მიხედვით, მცხეთიშვილები ქართლის კათალიკოსის კარზე შეადგენდნენ კოლეგიალურ ორგანოს, რომელიც მონაწილეობდა სასამართლო პროცესებში, საგანმანათლებლო საქმიანობაში, საეკლესიო ქონების ადმინისტრაციულ-სამეურნეო მართვაში და ა.შ.

სტატიაში ყურადღებაა გამახვილებული აღნიშნული ინსტიტუტის არქაულ მახასიათებლებზე, რომლებიც გამოყენებულია წარმართული მცხეთის კულტისმსახურთა და მცხეთიშვილთა ინსტიტუტს შორის გენეტიკური კავშირის დასასაბუთებლად. ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების შემდეგ სამეფო ხელისუფლება ქრისტიანობის პროპაგანდის, ქრისტიანული ღვთისმსახურების დანერგვისა და ქრისტიანული მწიგნობრობის შემოტანის საქმეში თავდაპირველად ეყრდნობოდა მცხეთიშვილთა კონტიგენტს, როგორც მასზე უშუალოდ დაქვემდებარებულ, კულტურულად და სოციალურად დაწინაურებული ქალაქურ ფენას. სხვადასხვა დროს, საქართველოში განვითარებული პოლიტიკური პროცესების შესაბამისად, მცხეთის ტახტის და მასთან ერთად მცხეთიშვილთა როლი ყოველთვის ერთგვაროვანი არ იყო. ქართული სამეფო-სამთავროების გაერთიანების ეტაპზე ეკლესიის კულტურული და პოლიტიკური როლის ზრდასთან ერთად მცხეთიშვილთა ადმინისტრაციული ფუნქციები და სამოქმედო არეალიც შეუდარებლად ფართოვდება. ისინი წარმოადგენდნენ მცხეთის საკათალიკოსოს საყდარს ადგილებზე საქართველოს ფარგლებს შიგნით და საზღვარგარეთ.

45. მ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, სახელმძღვანელო IX კლასის მოსწავლეთათვის (თანაავტორები: გ. ანჩაბაძე, გ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, დ. შველიძე), გამომცემლობა "ლოგოსპრესი", 2008

ანოტაცია: სასკოლო სახელმძღვანელო საქართველოს ისტორიაში, 8X კლასის მოსწავლეთათვის.

46. თ. ქართველიშვილი. სვანთა ერისთავების - ვარდანისძეების გურიაში დამკვიდრების საკითხისათვის. სვანეთი ქართული კუთურის სვანე, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. გვ.264-271. გამომცემლობა "ხვამლი", თბილისი 2008.

ანოტაცია: დასავლეთ საქართველოს უძლიერესი ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლები - ვარდანისძეები სათავეში ედგნენ სვანეთის საერისთავოს. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობის თანახმად, 1361 წელს მეფე ბაგრატ 7-ის წინააღმდეგ ვარდანისძეების აჯანყების შემდეგ მათ დაიმკვიდრეს გურიის საერისთავო. გურიაში დაცული ხატების წარწერებში მოხსენიებულ პირთა "ვარდანისძეთა", სვანთა ერისთავებისა" და "გურიელთა" იდენტიფიცირების საშუალებით დადგინდა, რომ სვანთა ერისთავები XVIII საუკუნეში გურიაში შემთხვევით არ მკვიდრდებიან, რადგან XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან გურიაში უკვე ფლობენ მამულს, სადაც საფუძველი ეყრება ცალკე შტოს, რომლებიც არც სვანთა ერისთავები და არც გურიის ერისთავები არ არიან. მონღოლთა ბატონობის პერიოდში დასავლეთ საქართველოს დამოუკიდებელ სამეფოდ ჩამოყალიბებისას ხდება მათი დაწინაურება და გურიელობის პატივში აღზევება, თუმცა XVIII საუკუნის 40-50-იანი წლებში გურიას დადიანი ეუფლება და სწორედ მისი გავლენის შეასუსტებლად ბაგრატ 7 იძულებულია შეიწყალოს აჯანყებული სვანთა ერისთავი და უბოძოს გურია.

47. ლელა ქურდაძე. სოლომონ ასლანიშვილი (ბავრელი), წერილები "ოსმალის საქართველოს" შესახებ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ლელა ქურდაძემ და გოჩა საითიძემ, ["სამხრეთ კავკასიისა და ანატოლიის შემსწავლელი ცენტრის" სამეცნიერო სერია: "სამხრეთ კავკასია და ანატოლია, # 5, 2008"]".

ანოტაცია: სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელი პირველი ქართველი ჟურნალისტი იყო, რომელმაც რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდგომ ქართველ მაჰმადიანთა ყოფა-ცხოვრების საჭირობორტო საკითხების პრესაში გაშუქება დაიწყო. მის მიერ "ივერიაში", "დროებასა" და "ჯვარი ვაზისაში" დასტამბულ პუბლიკაციებში დაცული ცნობები ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე, ადათ-წესებზე, ისტორიულ ძეგლებსა და ა. შ. მნიშვნელოვანი პირველწყაროა "ოსმალის საქართველოს" ისტორიის შესასწავლად. ს. ბავრელმა აღნიშნულ თემატიკას მიუძღვნა 1878-1906 წლებში დასახელებულ პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული 26 სტატია, რომელთაგან 5 გაგრძელებებით დაიბეჭდა.

სოლომონ ბავრელის პუბლიკაციები XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის დამდეგის მესხეთის ისტორიის შესწავლისათვის ერთ-ერთ უძვირფასეს წყაროს წარმოადგენს. იგი ამჟამად ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ითვლება, ამიტომაც გადაწყვიტეთ მათი გაცნობა საზოგადოებრიობის ფართო წევრებისა და სპეციალისტებისათვის სათანადო სამეცნიერო აპარატის დართვით, რათა აღნიშნული

პრობლემატიკით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის ხელმისაწვდომი გაგვეხადა.

48. მ. შაორშაძე, წმინდა იოანე მანგლელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი ადგილის დაზუსტებისათვის, საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, IX, 2008.

ანოტაცია: 1881 წელს დიმიტრი ფურცელაძემ ნაშრომში „Грузинские церковные гуджари (грамоты)“, მოკლე რედაქციით გამოაქვეყნა წმ. იოანე მანგლელის მიერ შედგენილი ერთი საბუთი, რომლის ვრცელი შინაარსის გაცნობაც საშუალებას გვაძლევს ნათელი მოვფინოთ წმინდანის სახელთან დაკავშირებულ უზუსტობასა და მისი ეპისკოპოსობის დროინდელ ზოგიერთ სხვა მოვლენასაც.

წმ. იოანე მანგლელი (ეროზაში იოსებ სააკაძე), თვალსაჩინო სასულიერო მოღვაწე იყო XVIII-ის წახვერისა. იგი დაიბადა 1666 წელს თავად გიორგი სააკაძის ოჯახში. მისი ახალგაზრდობის შესახებ ძალიან მწირი ცნობები მოგვეპოვება. წმ. მამა გარეჯის ბერთუბნის მონასტერში აღიზარდა და აქვე შეუდგა ბერულ ცხოვრებას. მალე იგი მღვდელმონაზვნად აკურთხეს და ზოგიერთი ცნობით, არქიმანდრიტის ხარისხიც მიიღო.

1717 წელს წმ. იოანეს მეფე ბაქარმა მანგლისის საეპისკოპოსო კათედრა შესთავაზა, ხოლო ვახტანგ V-ის ისპაჰანიდან დაბრუნების შემდეგ, მას უკვე მეორედ დაუმტკიცეს მანგლისის კათედრა. მღვდელმთავრად აქ იგი დიდხანს არ დარჩენილა, რადგან ეპარქიაში ატეხილი დავის გამო იძულებული გახდა კახეთში, ხირსის მონასტრის წინამძღვრად გადასულიყო.

ჩვენს მიერ მიკვლეულ 1721 წლის საბუთში სწორედ, ეპარქიაში მომხდარი დავისა და კათედრიდან წმ. მამის წასვლის მიზეზებზეა საუბარი, რომელიც სტატია დაწარმის სახით ბოლოში აქვს დართული და რომელიც სრული სახით პირველად ქვეყნდება. ამ საბუთით ხერხდება წმ. იოანე მანგლელის ირგვლივ განვითარებული ზოგიერთი ისტორიული მოვლენის სრულად წარმოჩენა.

1724 წელს წმ. იოანე მანგლელი საქართველოდან მიემგზავრება და თავის წმინდა საქმეებს კავკასიის მთიანეთში აგრძელებს. იგი თავის თანამოღვაწეებთან ერთად აგებს ტაძრებს დარუბანდში, ასტრახანში, ყიზლარში და ეწევა მისიონერულ საქმიანობას. მისი თაოსნობით ჩაეყარა საფუძველი ე.წ. ოსეთის სასულიერო კომისიას, რომელიც კავკასიელ მთიელებს შორის ქრისტიანობის გავრცელებას და ქადაგებას ემსახურებოდა. მას შემდეგ, რაც საქართველოში გაიხსნა კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება, მისიამ საერთოდ შეწყვიტა არსებობა.

წმ. იოანე მანგლელი 1751 წლის 28 მარტს ყიზლარში გარდაიცვალა. 1752 წელს იგი საქართველოში გადმოასვენეს და მისი წმინდა ნეშტი სიონის საკათედრო ტაძარში განისვენებს. მის საფლავთან მრავალი სასწაული და კურნებანი აღესრულებოდა.

49. ქ. ხითარიშვილი, ესქატოლოგიური იდეის გააზრებანი "წმ. ნინოს ცხოვრებაში", კრებ. "წმინდა ნინო", თბ., ტ. I, 2008.

ანოტაცია: სტატია ეხება წმინდა ნინოს ცხოვრებისა და იოანე ღვთისმეტყველის „გამოცხადების“ ურთიერთმიმართების საკითხს. ამ ორ ძეგლს შორის კავშირი წარმოჩნდება იმით, რომ ახლად მოქცეული ერი უკვე ემზადება საყოველთაო აღდგომისთვის, რასაც წმინდა ნინოს ცხოვრების წიგნი დაბეჭდულის („ათი სიტყვა“) გააზრება და ძეგლის პერსონაჟთა გამონათქვამებიც მოწმობს. წმინდა ნინოს მოღვაწეობის მნიშვნელოვანი არეალი, მცხეთა, „ზეციურ იერუსალიმთან“, „ახალ იერუსალიმთანაა“ გაიგივებული. წმინდა ნინოს ცხოვრებაში აპოკალიფსური მოტივის მოხმობით მინიშნებულია, რომ ერის მოქცევა და ფიქრი ესქატოლოგიურ მომავალზე ერთად მოიაზრება. გაქრისტიანებისთანავე მზერა მაცხოვრის მეორედ მოსვლის მოლოდინისკენაა მიმართული.

50. თ. ჯოჯუა, მანდატურთუხუცეს ხაჟიგ დადიანის მინაწერი საბუთი (XIII ს II ნახ. - XIV ს) ქურაშის I ოთხთავის (X-XI ს) დაკარგულად მიჩნეული ფრაგმენტიდან (H-1886). კრებ.: „საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები“. IX. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2008 წ. გვ. 131-168.

51. თ. ჯოჯუა, გელათელი მონაზონის - ლევან IV დადიანის ცოლყოფილის ნინო ბაგრატიონისა და მონაზონ ფებრონია ხევარიძის სავედრებლები (XVIII ს-ის I ნახ.) იერუსალიმში გადატანილი ერთი გარეჯული ხელნაწერის აშიებიდან. კრებ.: „ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები“. VIII. ეძღვნება გელათის მონასტრის დაარსების 900 წლისთავს. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2008 წ. გვ. 153-173.